

შ.პ.ს. „კახეთის კერიბჭე“ (405348191)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდის მდგომარეობით

	ფორმა №1 კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობა			
ფინანსური მდგომარეობა	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	108745	171371	12084	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	189179	194786	192576	
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	21240	101336	498225	
მარაგები	792450	1028533	1257037	
მზა პროდუქცია		0	0	
სხვა	792450	1028533	1257037	
საინვესტიციო ქონება		0	0	
სხვა მოკლევადიანი აქტივები	47929	416817	51174	
ბიოლოგიური აქტივები	1024510	1691877	1047952	
თვითღირებულების მოდელით	1024510	1691877	1047952	
გადაფასების მოდელით		0	0	
გუდვილი		0	0	
სხვა არამატერიალური აქტივები		1772	2363	
ძირითადი საშუალებები	1953246	2053843	1916462	
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		0	0	
სხვა გრძელვადიანი აქტივები		0	0	
სულ აქტივები	4137299	5660335	4977873	
	ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება		0	0	
სავაჭრო ვალდებულებები	74342	70960	431242	
ანარიცხები		0	0	
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	35145	92422	174977	
საგადასახადო ვალდებულებები		101201	58710	
გამოუმუშავებელი შემოსავალი	2234858	2382646	2347447	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		333480	0	
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		0	0	
მიღებული გრანტები		0	0	
სხვა ვალდებულებები		0	0	
სულ ვალდებულებები	2344345	2980709	3012376	
	საკუთარი კაპიტალი			

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		0	0
საემისიო შემოსავალი		0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები		0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1693854	2580526	1965497
გადაფასების რეზერვი		0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	99100	99100	0
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი	1792954	2679626	1965497
არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)		0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	1792954	2679626	1965497
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4137299	5660335	4977873
სულ მოკლევადიანი აქტივები	2184053	3604720	3059048
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	2344345	2980709	3012376

ფორმა №2 კონსოლიდირებული საქმიანობის შედეგები		
	31/12/2024	31/12/2023
საქმიანობის შედეგები		
ნეტო ამონაგები	2841925	3165847
საქონლის გაყიდვიდან	717895	2236607
მომსახურების გაწევიდან	2124030	929240
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		0
სხვა		0
გაყიდვების თვითღირებულება	-2325985	-1896162
საწყისი მარაგები		0
მარაგების შესყიდვა		0
გადამუშავების დანახარჯები		0
საბოლოო მარაგები		0
საერთო მოგება	515940	1269685
სხვა საოპერაციო შემოსავალი	12487	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-680634	-484722

ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-140085	-20200
საპროცენტო შემოსავალი		0
საპროცენტო ხარჯი		0
იჯარის ხარჯი	-175500	-113342
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-312776	-206753
სულ საოპერაციო ხარჯები	-1296508	-825017
საოპერაციო მოგება	-780568	444668
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		0
მიღებული დივიდენდები		0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		-1643
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-780568	443025
მოგების გადასახადის ხარჯი	-48	-2329
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-780616	440696
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)		0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-780616	440696
მოგება / (ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნილებელი მოგება (ზარალი)		440696
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნილებელი მოგება (ზარალი)		0
მოგება / (ზარალი)	-780616	440696
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნილებელი მთლიანი შემოსავალი		440696
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნილებელი მთლიანი შემოსავალი		0

მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-780616	440696
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2679626	1965497
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')		0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-205156	174333
კაპიტალის სხვა ცვლილებები	99100	99100
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1792954	2679626

ჯგუფი

შ.პ.ს. "კახეთის კარიბჭე" (ს/კ 405348191) - მშობელი საწარმო

შ.პ.ს. „ლანდშაფის დიზაინის სტუდია“ (ს/ნ 405535755)- შვილობილი საწარმო

სააღრიცხვო პოლიტიკა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

ზოგადი ინფორმაცია

შ.პ.ს. "კახეთის კარიბჭე" წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიას, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 08/08/2019 წელს. კომპანიის იურიდიული მისამართია: თბილისი, ი. აბაშიძის ქ., N48, ბინა 18 , ფაქტობრივი მისამართი - გარდაბნის რაიონი, სოფელი სართიჭალა.

2022 წლიდან შ.პ.ს. „კახეთის კარიბჭე“ წარმოადგენს მშობელ საწარმოს. მის შემადგენლობაში შედის შ.პ.ს. „ლანდშაფის დიზაინის სტუდია“ (ს/ნ 405535755), რომელიც დაფუძნებულია 25/05/2022 წელს (რეგისტრაციის # B22063584), მარეგისტრირებელი ორგანო სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. მისი დამფუძნებელია შ.პ.ს. „კახეთის კარიბჭე“ (ს/ნ 405348191), წილი კაპიტალში 100%.

კონსოლიდაციის წესი შ.პ.ს. „ლანდშაფის დიზაინის სტუდია“ ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაცია უნდა განხორციელდეს სრული კონსოლიდაციის მეთოდით.

ჯგუფში შემოვალ საზოგადოებების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს შერეული სასოფლო სამეურნეო საქმიანობა, რომელიც არის საწარმოების მიერ ბიოლოგიური აქტივების ტრანსფორმაციისა და ნაყოფის მიღების მართვა სხვადასხვა გარემოს დაცვით პროექტებში გამოყენების ან გაყიდვის მიზნით, აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქციად ან დამატებით ბიოლოგიურ აქტივებად გარდაქმნის მიზნით.

საზოგადოება ახორციელებს სასოფლო სამეურნეო საქმიანობას, რომელიც გამოიხატება ჩითილების, ნერგების და სხვა ბიოლოგიური აქტივების დარგვაში და გამოყვანაში, ნერგების გაშენებაში, გამოყვანილი პროდუქტის სხვადასხვა პროექტებში გამოყენებაში, საბითუმო და საცალო რეალიზაციაში. საზოგადოება აგრეთვე იღებს მონაწილეობას სხვადასხვა გარემოსდაცვითი პროექტების განხორციელებაში, რომლის განხორციელებისას იყენებს საკუთარი ძალებით მოყვანილი, აგრეთვე შეძენილი ბიოლოგიური აქტივები. წესდებით საზოგადოებას უფლება აქვს აგრეთვე განახორციელოს საქართველოში კანონით დაშვებული სხვა საქმიანობაც.

შ.პ.ს. „კახეთის კარიბჭე“-ს ჯგუფი საქმიანობის თავისი პარამეტრებით მიეკუთვნება საწარმოთა კატეგორიის მე-III ჯგუფს და საქმიანობაში უნდა გამოიყენოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (IFRS for SMEs). 2022 წლიდან შ.პ.ს. „კახეთის კარიბჭე“ ვალდებულია წარადგინოს როგორც ინდივიდუალური, ასევე როგორც ჯგუფი - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მსს ფასს ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ლარი).

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის შედეგების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს.

საზოგადოება საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში იყენებს კლასიფიკაციას ხარჯების ფუნქციის მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საზოგადოება წარმოადგენს ფუნქციონირებად ორგანიზაციას და ახლო მომავალში არ იგეგმება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანად არის წარდგენილი ინფორმაცია ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის და საქმიანობის ფინანსური შედეგების შესახებ. ყველა ეკონომიკური მოვლენა შეფასების და აღიარების კრიტერიუმების გათვალისწინებით არის წარმოდგენილი.

ანგარიშგების მომზადების დროს ასევე გამოყენებულია ბუღალტრული ანგარიშგების მეთოდოლოგიით და ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციით განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც დამუშავების პროცესშია და დამტკიცებული ანგარიშთა გეგმა.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შედგება „კომპანიისა“ და მისი სრულ საკუთრებაში მყოფი შვილობილი საწარმოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებებისაგან. ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირებულია ყველანაირი შიდაჯგუფური ოპერაცია, ნაშთი, შემოსავალი, და ხარჯი.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციებიდან მიღებული დივიდენდი მაშინ აღიარდება, როდესაც ძალაში შევა ჯგუფის უფლება დივიდენდის მიღების შესახებ. იგი აისახება სხვა შემოსავლის მუხლში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები

კონსოლიდირებული

ფინანსური ანგარიშგების

პაკეტი მოიცავს ნაერთ ინფორმაციას:

1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშს (ბალანსი);
2. საქმიანობის შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშს;
3. ახსნა-განმარტებით შენიშვნებს. შეფასების საფუძველი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან

გადაიხდება ვალდებულების გაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, საზოგადოება იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) რომლის მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

საანგარიშგებო პერიოდი კონსოლიდირებული ფინანსური

ანგარიშგების საანგარიშო პერიოდია:

2024 კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა თავის ოპერაციებში ორგანიზაცია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ორგანიზაციის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად ორგანიზაცია იყენებს ქართულ ლარს.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი ძირითადი და არამატერიალური აქტივები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანის და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა უნდა განხორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით.

შემოსავლები და ხარჯები

შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად, რომელ პერიოდშიც იქნა გამომუშავებული, მიუხედავად მისი სანაცვლო ფულადი სახსრებისა, ან სხვა ეკონომიური კომპენსაციის ფაქტობრივად მიღების მომენტისა. შემოსავლები აღირიცხება და ანგარიშგებაში აისახება წმინდა ღირებულებით. ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიური სარგებლის მიღება, მიუხედავად ხარჯების ფაქტობრივად დაფარვის მომენტისა; შემოსავლები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება მისი წყაროების მიხედვით; ხარჯები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით. გადასახადი

გადასახადების გაანგარიშება და გადახდა განხორციელდა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით, და აისახა ანგარიშგებაში საგადასახადო კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად. საგადასახადო კოდექსის მოთხოვნები გათვალისწინებულია ეკონომიკური

საქმიანობის უფლების მქონე ერთეულების მიერ აქტივების და ვალდებულებების შეფასებისას.

მოგების გადასახადი

ჯგუფი მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად (ესტონური მოდელით). მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და სხვა დანიშნულებით გამოყენებული გაუნაწილებელი მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან. საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე საწარმოს აღარ აქვს დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

კაპიტალი

წილობრივი ინსტრუმენტები წარმოადგენენ ქონებას, რომლებიც ადასტურებენ საზოგადოების აქტივებში მისი ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის უფლებას. ქონება კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი. წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება ტრანზაქციიდან მიღებული თანხის ოდენობით და ქონებრივი შენატანით. სათაო საწარმოს ინვესტიცია შვილობილი საწარმოს კაპიტალში დაექვემდებარა ელიმინირებას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის და შემდგომ პერიოდში მომხდარი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის და შემდგომ პერიოდში მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობის შესახებ, ასახულია ფინანსური ანგარიშგების ახსნაგანმარტებით შენიშვნებში. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები ასევე დამატებით

მოიცავს ისეთ ინფორმაციებს, რომლებიც არაფინანსური ხასიათისაა და არ არის არც ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შემადგენელი ნაწილი, თუმცა, საჭიროა ანგარიშგებაში მოცემული ფინანსური ხასიათის ინფორმაციის ასახსნელად.

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები და ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია გრძელვადიან და მოკლევადიან მუხლებად და სტრუქტურა შედგენილია ლიკვიდობის კლებადობის მიხედვით. აქტივები ძირითადად შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და ნაღდ ფულს სალაროში. ფულადი სახსრები ასახულია ნომინალით. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საბანკო ანგარიშზე და სალაროში ირიცხება 108745 ლარი.

აქტივები	31.12.2024	31.12.2023
ნაღდი ფული	0	0
საბანკო ანგარიში	108745	171371
სულ	108745	171371

ფინანსური აქტივები და მოთხოვნები

ფინანსური აქტივები და მოთხოვნები შეფასებულია ნომინალური ღირებულებით. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები უმეტესწილად წარმოქმნილია წინასწარი გადახდებით ბიუჯეტიდან და გაწეული მომსახურების შედეგად. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები წარმოდგენილია მოკლევადიანი ფინანსური აქტივების და მოთხოვნების

სახით. ფინანსური აქტივის მიღების ან გასვლის ღირებულებას წარმოადგენს მისი გაცვლის ღირებულება. მოთხოვნებს და დებიტორულ დავალიანებებს გააჩნია შემდეგი სტრუქტურა: დებიტორების აღრიცხვის ჟურნალში აღირიცხება ანალიზური აღრიცხვის მიზნებისათვის დებიტორი ორგანიზაციების დასახელებები, დებიტორული დავალიანების წარმოშობის წლები.

დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები

	12/31/2024	12/31/2023		
სავაჭრო მოთხოვნები	189179	194786		
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	21240	101336		
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ				
მისაღები პროცენტები				
მოთხოვნები პარტნიორზე გაცემულ სესხიდან				
სხვა მიმდინარე აქტივები				
სულ	210419	296122		

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ იყო არსებითი სხვაობა დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის. ინვესტიციები და სხვა გრძელვადიანი აქტივები

	31.12.2024	31.12.2023		
ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში	416270	416270		
ინვესტიცია მერკავშირე საწარმოში				

სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ	416270	416270		

მატერიალური მარაგები

მატერიალური მარაგები კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში წარმოდგენილია შეძენის ღირებულებით და დამზადების თვითღირებულებით. მატერიალური მარაგების შეფასებისას, გამოყენებულია მარაგების აღრიცხვის საშუალო შეწონილი მეთოდი. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 1864889 ლარი.

მარაგები	31.12.2024	31.12.2023		
ნედლეული და მასალები	792450	1192331		
ბიოლოგიური აქტივები (თვითღირებულების მეთოდით)	1024510	1691877		
დაუმთავრებელი წარმოება (სხვადასხვა პროექტები)	47929	253019		
სხვა				
სულ	1864889	3137227		

ბ

გრძელვადიანი სესხები გრძელვადიანი სესხები ჯგუფს 2024 წლის 31

დეკემბრის მდგომარეობით არ გააჩნია. მიღებული ავანსები

ჯგუფს (სათავო საწარმოს) 2024 წელს შესასრულებელი სამუშაოების (მისაწოდებელი ბიოლოგიური აქტივების) შესრულებისათვის მიღებული აქვს ავანსი თანხით 2234858 ლარი.

საქმიანობის შედეგების კონსოლიდირებული ანგარიშგება

შემოსავლების აღიარება ხდება საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში, თუ მთლიანი ეკონომიკური შემოსავლები პერიოდის განმავლობაში წარმოიშობა ორგანიზაციის

ჩვეული საქმიანობის პირობებში, მათი საიმედოდ შეფასება შესაძლებელია, და ამ ოპერაციის შედეგად იზრდება საკუთარი კაპიტალი, მესაკუთრეთა მხრიდან დამატებითი ინვესტირების გარეშე.

შიდა ჯგუფური ოპერაციები - მშობელი საქონლის (ბიოლოგიური და სხვა აქტივების) და იჯარის მომსახურების მიწოდება შვილობილ საწარმოსთვის დაექვემდებარა გამორიცხვას.

ხარჯების აღიარება

ორგანიზაცია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას. ხარჯების აღიარება ხდება საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯების აღიარება ხდება საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლებს შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. ხარჯის აღიარება ხდება საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ბალანში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

კაპიტალი

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საზოგადოების კაპიტალი შეადგენს 1693854 ლარს.

მშობელი საწარმოს ინვესტიცია და შვილობრივი საწარმოს საწესდებო კაპიტალი დაექვემდებარა გამორიცხვას.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები ჯგუფს არ გააჩნია.

საოპერაციო საიჯარო ურთიერთობები

2020 - 2021 წლებში მშობელმა საწარმომ გააფორმა მიწის და უძრავი ქონების საოპერაციო იჯარის ხელშეკრულებები. იჯარის აღნიშნული ხელშეკრულებების მოქმედების ვადა არის 1 წელზე მეტი. თავის მხრივ მშობელ საწარმოს ქვეიჯარის სახით შვილობილ საწარმოს გადაცემული აქვს მიწის ფართობი და სხვადასხვა ინვენტარი.

საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ქონია.

36